ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ

საქმეთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 10

ქ. ვანი თავისუფლების N 65 **20 ნოემბერი 2019 წელი**

11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: კობა ტოხვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ტარიელ ბარამიძე, ივანე კორძაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, მერაბ ხურციძე, თამარ შენგელია.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა: თენგიზ დვალიშვილი.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

*/**დანართი N1/***

მოწვეული პირი:

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **კობა ტოხვაძე (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბიუჯეტის პროექტის პროგრამული დანართი, 2020-2023 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი და არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი.

მომხს: ივანე მამფორია

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი.

კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი საკითხი, რომლის მიმართ იყო მოსაზრებები და შენიშვნები.

ძირითადი შენიშვნა ითვალისწინებს ა(ა)იპ ,,ვანის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბ ,,აიეტის" ბავშვთა მწვრთნელებზე ხელფასის მატება, ასევე საბავშვო ფესტივალის დაფინანსების ზრდა.

ასევე კომისიის წევრმა შალვა ლორთქიფანიძემ დააყენა საკითხი:

სოფელ დიხაშხოში აფხაზეთის ომში დაღუპული ფეხბურთელის მიხო ერემეიშვილის სახელობის ტურნირის ჩატარება აგვისტოს თვეში, რომელიც ჯდება 1000 ლარი. წარმოდგენილი თანხა აისახოს 2020 წლის ბიუჯეტში.

აღნიშნული შენიშვნა გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერს გასათვალისწინებლად.

დაადგინეს:

კომისიიამ განიხილა წარმოდგენილი საკითხი და თავისი შენიშვნა დააფიქსირა წარმოდგენილ 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში.

დანართიN2

საკითხის ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კობა ტოხვაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ

საქმეთა კომისიის თავმჯდომარე